



თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024)

(დამტკიცებულია აკადემიური დაწარმომადგენლობითი სენატის 2018 წლის 24 აპრილის #81
დადგენილებით)

1. შესავალი

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში 2017 წელს ნიშანდობლივი ცვლილებები განხორციელდა. ჩვენს სტუდენტებს საშუალება მიეცათ სწავლა გაეგრძელებინათ ახალ შენობაში, რომელშიც შექმნილია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლებისა და კვლევისათვის ხელსაყრელი გარემო. ინფრასტრუქტურულ განვითარებასთან ერთად, მოხდა განათლების ხარისხის განვითარებაზე კიდევ უფრო მეტი ფოკუსირება. საგანმანათლებლო პროგრამების განსავითარებლად დაწესებულების ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები სრულად იქნება მობილიზებული.

თბილისის ღია უნივერსიტეტში მიმდინარე პოზიტიურ ცვლილებებთან ერთად, ქვეყნის უმაღლესი განათლების პოლიტიკის რეფორმირების პროცესში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ხარისხის განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. ამ გარემოებების გათვალისწინებით, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში მიღებული იქნა გადაწყვეტილება, მომხდარიყო დაწესებულების განვითარების სტრატეგიის რევიზია და მისი მორგება თანამედროვე გამოწვევებზე.

ქვემოთ მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და განათლების სისტემის სპეციალისტების მონაწილეობით შემუშავებულ დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია დაწესებულების განვითარების ძირითადი ორიენტირები და მათი მიღწევის გზები.

2. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტმა სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიმუშავა მეთოდოლოგია, რომლის მთავარ ორიენტირად მაქსიმალური ჩართულობა განისაზღვრა. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს:



2.1. ინფორმაციის მოძიება და ანალიზი

სტრატეგიული დაგეგმვის პირველ ეტაპი მოიცავს დაწესებულების პერსონალის, ბენეფიციარებისა და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვებას უნივერსიტეტის შიდა პროცესების, დამოკიდებულებებისა და ხედვების შესახებ. ამ ეტაპზე ხდება ასევე უნივერსიტეტის შიდა დოკუმენტაციისა და გარე მარეგულირებელი დოკუმენტაციის დამუშავება. ინფორმაციის შეგროვებისათვის, საჭიროებისამებრ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (ანკეტირება, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და სხვა).

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება სიტუაციის ანალიზი, რომელიც მოიცავს, როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს. სიტუაციის ანალიზისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს SWOT, PEST, SOAR ან რომელიმე სხვა, აპრობირებული მეთოდოლოგია. პირველი ეტაპის ბოლოს ხდება სიტუაციის ანალიზის განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან და უკუკავშირის მიღება.

2.2. მისიის, ხედვისა და ღირებულებების რევიზია/ფორმირება

სიტუაციური ანალიზზე დაყრდნობით ხდება არსებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების რევიზია/შემუშავება. მოცემულ ეტაპზე უნდა მოხდეს სასწავლებლის როლისა და ინსტიტუციური განვითარების მასშტაბური ხედვის გააზრება, უმაღლესი განათლების მიზნებთან თანხვედრა და ადგილობრივ და საერთაშორისო მოთხოვნებთან მისი სინქრონიზაცია. პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, რომელიც აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების შედეგად მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებით აყალიბებს მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო რედაქციას.

2.3. სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, დასაქმების ბაზარზე არსებული ტენდენციების გაანალიზებითა და უმაღლესი განათლების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით დაწესებულების ადმინისტრაცია შეიმუშავებს განვითარების სტრატეგიული მიზნების სამუშაო ვერსიას, რის შემდეგაც უზრუნველყოფს მათ საჯარო განხილვასა და უკუკავშირის შეგროვებას. უკუკავშირის საფუძველზე ხდება სტრატეგიული მიზნების საბოლოო ვერსიის შემუშავება და ამოცანების ფორმირება. ამოცანების ფორმირების შემდეგ ხორციელდება საჯარო განხილვების ახალი ციკლი, რომლის შემდეგაც ხდება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების საბოლოო რედაქციის ფორმირება. სტრატეგიული გეგმის საბოლოო ვერსია მტკიცდება აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატზე

2.4. სამოქმედო გეგმის შემუშავება

სტრატეგიული მიზნებსა და ამოცანებზე დაყრდნობით ხდება პრიორიტეტების იდენტიფიცირება და სამწლიანი სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიის ფორმირება. სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის ფორმირებაში უნა იყოს ჩართული ყველა ის პირი, რომელიც პასუხისმგებელია ამოცანის განხორციელებაზე. სამოქმედო გეგმა აუცილებლად უნდა მოიცავდეს საქმიანობის ჩამონათვალს, პასუხისმგებელ პირებს/ორგანოებს, ვადებსა და გაზომვად ინდიკატორებს. სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის შემუშავების შემდეგ, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საჯარო განხილვების ორგანიზებასა და უკუკავშირის გათვალისწინებას, რის შემდეგაც ხდება სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის დამტკიცება აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატზე

2.5. შესრულების მონიტორინგის მექანიზმები

უნივერსიტეტის საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის განხორციელების ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ხარისხის, ზეგავლენის მასშტაბისა და რელევანტურობის განსაზღვრის სისტემური და დისციპლინირებული პროცესია. ის უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ. მონიტორინგისა და შეფასების ობიექტური და მონაწილეობითი სისტემა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის საქმიანობისადმი საზოგადოებრივი ნდობის უზრუნველყოფის საშუალებაა. ის ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული პირის სათანადო მოტივაციასა და ყურადღების კონცენტრირებას იმ მიზნების განხორციელებაზე, რომლებიც მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის საქმიანობის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს ორი ძირითადი წყაროდან - მონიტორინგიდან და შეფასებიდან. ორივე მათგანი ეფექტური მართვის განუყოფელი ელემენტია: თითოეული ინდივიდუალური ხასიათისაა, თუმცა, ამავე დროს, ერთმანეთს ავსებს. მონიტორინგი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული ამოცანების მიმართ პროგრესის

შემოწმების განგრძობადი პროცესი. შეფასება კი წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის იმპლიმენტაციის პროცესისა და გავლენის მაქსიმალურად სისტემურ და ობიექტურ შეფასებას.

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უშუალო მონაწილეობით შეიმუშავებს ხარისხის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მექანიზმებს და ახდენს მათ სინქრონიზაციას დაწესებულების შიდა რეგულაციებთან და პროცედურებთან. მონიტორინგის მექანიზმები მორგებული უნდა იყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობების სპეციფიკას და აუცილებლად უნდა მოიცავდეს მონიტორინგის პერიოდულობას, მონიტორინგის მეთოდებს, ინფორმაციის მოთხოვნისა და მიწოდების პროცესში მხარეთა ვალდებულებებსა და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების შესაძლო ფორმებს.

მონიტორინგის და შეფასების პროცესი პირობითად ერთმანეთთან დაკავშირებულ სამ ეტაპად შეგვიძლია განვიხილოთ, კერძოდ:

მონაცემთა შეგროვება - მონაცემთა შეგროვების სტადიაზე, შემფასებელი (მონიტორინგის განმახორციელებელი პირი/პირები) აგროვებს/ენ იმ დოკუმენტებს/ინფორმაციას, რომელიც მითითებულია გეგმაში კონკრეტული ამოცანის/აქტივობის შესრულების ინდიკატორის ველში.

შეგროვებული მონაცემების ანალიზი - ამ ეტაპზე ხდება პირველ ეტაპზე შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი შესრულების ინდიკატორთან მიმართებაში.

მიღებულ შედეგებზე რეაგირების მოხდენა- რადგან ჩვენი მიზანი გეგმაში დასახული მიზნების მიღწევას, პრობლემების გამოვლენისას აუცილებელი ხდება გეგმის ამოცანების, აქტივობების, შესრულების ვადების, რესურსების ან პასუხისმგებელი პირის ველში ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად რომელ ველში იქნება საჭირო ცვლილება, ჩამოთვლილთაგან, დამოკიდებულია პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე.

მონიტორინგის ჯგუფის ფორმირება: უნივერსიტეტი ვალდებულია განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი. ამ მიზნით რექტორის ბრძანებით (რომელიც ხელმძღვანელობს მონიტორინგის ჯგუფს) განისაზღვრება მონიტორინგის ჯგუფის წევრები, მასში შედის ვიცერექტორი; მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტი; სკოლის წარმომადგენელი აკადემიური პერსონალი; სტუდენტები; გარე მოწვეული პირი(რომელიც შეიძლება იყოს სხვა უნივერსიტეტის, არასამთავრობო ორგანიზაციის, პროფესიული ასოციაციის და სხვა ორგანიზაციის წევრი)

ანგარიშის წარდგენა: ხარისხის მართვის და სტრატეგიული განვითარების სამსახური წელიწადში ერთხელ მონიტორინგის ჯგუფს წარუდგენს ანგარიშს სტრატეგიული განვითარებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის იმპლიმენტაციის შესახებ შესრულების

ძირითადი ინდიკატორების მიხედვით. მონიტორინგის ჯგუფი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის ანგარიშის შეფასების შედეგებს და მისგან გამომდინარე რეკომენდაციებს წარუდგენს აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ახდენენ შესაბამის რეაგირებას;

ცვლილებების განხორციელება: სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია მონიტორინგის ჯგუფის არგუმენტირებული მოთხოვნის შემთხვევაში ან/და აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატის გადაწყვეტილების საფუძველზე .

3. მისია და ხედვა

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ხედვაა, იყოს ხარისხიანი განათლების მიღების, სამეცნიერო კვლევისა და პროფესიული უნარების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების მქონე დაწესებულება, რომელიც მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი იქნება, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, სამეცნიერო კვლევისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნითა და პრაქტიკული უნარების განვითარებით მისცეს სტუდენტებს საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების შესაბამისი განათლება.

უნივერსიტეტში მულტიკულტურული და დემოკრატიული კლიმატის შექმნით, ხელი შეუწყოს მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მქონე პიროვნების ფორმირებას.

4. ღირებულებები

○ ღიაობა

სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის ღიაობა ახალი იდეების, ინოვაციებისა და ცვლილებებისათვის.

○ ჩართულობა

გადაწყვეტილებების მიღება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მაქსიმალური ჩართულობითა და მონაწილეობით.

○ ინტერნაციონალიზაცია


უმაღლესი განათლების საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირება და თანამშრომლობა.

○ პროგრესულობა

თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მიდგომების დანერგვა სწავლის, კვლევისა და ორგანიზაციული განვითარების სფეროში.

5. სიტუაციის ანალიზი

5.1. ორგანიზაციის სტრუქტურა



5.2. სიტუაციის აღწერა

თბილისის ღია უნივერსიტეტი (TOU) 2002 წელს დაფუძნდა. საგანმანათლებლო ბაზარზე უკვე 15- წლიანი გამოცდილების შედეგად, წარმატებით ფუნქციონირებს სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მედიცინის სკოლები.

უნივერსიტეტში შექმნილია მსოფლიო სტანდარტების ადეკვატურ განათლებას მიღების, სტუდენტობის ნაყოფიერი და დატვირთული სტუდენტური ცხოვრებისათვის ადეკვატური გარემო

TOU-ს უპირატესობებს დაემატა ულტრათანამედროვე ახალი კამპუსი ქალაქის ცენტრში, რომელიც სრულყოფილადაა აღჭურვილი როგორც სამეცნიერო და ტექნიკური, ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. ინფრასტრუქტურასთან აბსოლუტურ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამები, მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი. სტუდენტებს აქვთ კერძო და საჯარო ორგანიზაციებში პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა.

ენების გაძლიერებული სწავლება (ინგლისური, ფრანგული, რუსული, ჩინური) TOU-ს სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობას აძლევს. სტუდენტისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელია სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი გრაფიკი, რომელიც ყველა სოციალური ფენის მოქალაქეს აძლევს საშუალებას, მიიღოს განათლება TOU-ში.

წარმატებული მომავლისკენ პირველი ნაბიჯის გადადგმაში TOU-ს სტუდენტებს ევროპის, აზიისა და კავკასიის რეგიონის პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაცვლით პროგრამებში ჩართულობაც ეხმარებათ.

თბილისის ღია უნივერსიტეტის კონფუციის კლასი ჩვენს სტუდენტებს საშუალებას აძლევს უფასოდ შეისწავლონ ჩინური ენა და ჩინეთის წამყვან უნივერსიტეტებში, 100%-იანი დაფინანსებით, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე მიიღონ ხარისხიანი განათლება.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით, სტუდენტებს საშუალება აქვთ თავიანთი ინტერესების მიხედვით შექმნან სხვადასხვა სპორტული თუ სახელოვნებო კლუბი და საუნივერსიტეტო სივრცეში, სწავლის პარალელურად, დრო მაქსიმალურად ნაყოფიერად გაატარონ.

უნივერსიტეტში ადაპტირებული გარემოა შექმნილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის.

მრავალფეროვანი სასწავლო ლაბორატორიები, პრაქტიკის კომპონენტებით მდიდარი საგანმანათლებლო პროგრამები თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსაც უვითარებს TOU-ს სტუდენტებს და რეალურ კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს მათ დასაქმების ბაზარზე.

უნივერსიტეტში არსებობს 29 აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა მათ შორის ორი უცხოენოვანი მედიცინის მიმართულებით. ავტორიზებულ რეჟიმშია 3 უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს: თანამედროვე ბიბლიოთეკა; პროგრამების შესაბამისი კომპიუტერული კლასები შეუზღუდავი ინტერნეტ მომსახურებით; კლინიკები სამართლის და მედიცინის მიმართულებით, თანამედროვედ აღჭურვილი ლაბორატორიები და სხვა

უნივერსიტეტი აქცენტს აკეთებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებაზე. კვლევებში ინტენსიურად არის ჩართული როგორც აკადემიური საზოგადოება ასევე სტუდენტები და პარტნიორი უნივერსიტეტები.

აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო/ადმინისტრაციული პერსონალის ნაყოფიერი მუშაობისათვის შექმნილია ხელსაყრელი გარემო.

უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს პერსონალის განვითარებასა და წინსვლაზე.

უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ აქტივობებში.

5.3 SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები რას ვაკეთებთ კარგად? რა განსაკუთრებულ რესურსებს ვიყენებთ? რა ძლიერ მხარეებს ხედავენ სხვები ჩვენში?	სუსტი მხარეები რის გაუმჯობესება შეგვიძლია? რაში გვაქვს მცირე რესურსი? რა სისუსტეებს ხედავენ სხვები ჩვენში?
<ol style="list-style-type: none"> 1. უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებაზე ზრუნვა, მათ შორის საჯარო ლექციების ორგანიზების გზით; 2. საგრანტო კონკურსებში აქტიური მონაწილეობა; 3. საგანმანათლებლო პროგრამების განახლებაზე ზრუნვა; 4. ჩინეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა და ყველა დაინტერესებული სტუდენტისათვის ჩინური ენის სწავლება. 5. გაცვლითი პროგრამების არსებობა 6. ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; 7. მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი; 8. სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები შესაბამის ორგანიზაციებთან; 9. პარტნიორი დაწესებულებები; 10. მაღალკვალიფიციური ადმინისტრაციული პერსონალი; 11. სტუდენტური პროექტების (კვლევითი და სოციალური) მხარდაჭერა; 12. სტუდენტური თვითმმართველობის ჩართვა ხარისხის გაუმჯობესებაში 	<ol style="list-style-type: none"> 1. სამეცნიერო საქმიანობის წახალისების და ხელშეწყობის მეტად ეფექტური მექანიზმების დანერგვა; 2. ახალი კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მოზიდვის კუთხით არსებული გარკვეული პრობლემები; 3. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემის მუშაობის ხარვეზები; 4. უცხოელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სიმწირე

შესაძლებლობები რას შესაძლებლობებია ჩვენთვის ხელმისაწვდომი? რა ტენდენციებზე გაამახვილებდით ყურადღებას? როგორ აქცევდით ჩვენს ძლიერ მხარეებს შესაძლებლობად?	საფრთხეები რა საფრთხეებს შეუძლია მოგვაყენოს ზიანი? რომელი სისუსტე რა საფრთხეს შეიცავს? ვინ არიან ჩვენი კონკურენტები? რით გვჯობნიან?
<ol style="list-style-type: none"> 1. ახალ, კეთილმოწყობილ შენობაში გადასვლა და მაღალი სტანდარტის ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით საგანმანათლებლო პროგრამებით მისაღწევი შედეგების უზრუნველყოფის შესაძლებლობა; 2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პოტენციალის ნაყოფიერად გამოყენების შესაძლებლობა წახალისების ეფექტური მექანიზმების დანერგვით; 3. სტუდენტების დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით აღჭურვის შესაძლებლობა ხარისხზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებით 4. პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად კვლევითი პროექტების განხორციელება; 5. პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართვა პროგრამის განვითარებაში; 6. უცხოელი სპეციალისტების მოწვევა სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიზნით; 7. სტუდენტების აქტიური მონაწილეობა როგორც რესპუბლიკურ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებში; 8. საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიღება; 9. სტუდენტთა დახმარების სერვისის სრულყოფა და გაფართოება; 10. კურსდამთავრებულთა დასაქმების სერვისის განვითარება 	<ol style="list-style-type: none"> 1. საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მაღალი კონკურენციის პირობები 2. ქართველი სტუდენტების რაოდენობის სიმწირე 3. ავტორიზებული დაწესებულებების სიჭარბე

6. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი მისი მისიიდან, ხედვიდან და არსებული სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე 2018-2024 წლებისათვის ისახავს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს:

მიზანი 1 - ორგანიზაციული განვითარება

- ✓ მართვისა და ორგანიზაციული პროცესების ეფექტიანობის გაზრდა და ხარისხის უზრუნველყოფა
- ✓ ადმინისტრაციული რესურსების განვითარება
- ✓ მატერიალური და ფინანსური რესურსების განვითარება

მიზანი 2 - განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

- ✓ კვლევით მიმართულებების განვითარება
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება
- ✓ ადამიანურ რესურსების განვითარება
- ✓ სადოქტორო პროგრამის შემუშავება

მიზანი 3 - ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა

- ✓ ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარება

მიზანი - 4 სტუდენტთა ჩართულობის და მხარდაჭერის უზრუნველყოფა

- ✓ სტუდენტზე ორიენტირებული აქტივობების და სერვისების შეთავაზება

მიზანი 1 - ორგანიზაციული განვითარება

ამოცანა 1: მართვისა და ორგანიზაციული პროცესების გაზრდა და ხარისხის უზრუნველყოფა

<i>ქვეამოცანა</i>	<i>ინდიკატორები</i>
ორგანიზაციული პროცესების აღწერა, პროცესების რუკის გაკეთება	უნივერსიტეტის არსებული ორგანიზაციული პროცესები აღწერილია უნივერსიტეტის ძირითადი პროცესების რუკაში განსაზღვრულია პროცესის მოდულები; განსაზღვრულია ჩართული პირები/სამსახურები აღწერილია შედეგები რომლებსაც ქმნიან პირები/სამსახურები პროცესები აღწერილია თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ;
სტრატეგიის დანერგვის შეფასების სიტემის გამართვა	სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ტარდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ მონიტორინგის შედეგები განიხილება
დავალებების განაწილებისა და მართვის ელექტრონული სისტემა დანერგვა	მართვის ელექტრონულ სისტემაში ასახულია სტრუქტურების/პირების დავალებები ელექტრონული სისტემა იძლევა საშუალებას დავალებების შინაარსის შესახებ ადრესატის/შემსრულებლის შესახებ დავალებების შესრულების ვადების შესახებ დავალებების შესრულების/არ შესრულების შესახებ
საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის	საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა

<p>განვითარება</p>	<p>შემუშავებულია რომელიც მოიცავს: ელექტრონულად განცხადებების მიღებას განცხადებების ვიზირებას შემსრულებელ პირის შესახებ ინფორმაციას შესრულების ვადებს</p>
<p>სალექციო დატვირთვებისა და ხელფასების გაანგარიშების ავტომატიზაცია.</p>	<p>უნივერსიტეტში ელექტრონულად დანერგილია აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის ხელფასების გაანგარიშება: საათობრივი წესით (სასწავლო/სამეცნიერო საქმიანობა) სრული განაკვეთით არასრული განაკვეთით ერთჯერადად და ა. შ (კერძო შეთხვევები) ტექნიკური უზრუნველყოფა გამართულია (ბარათები; ელექტრონული რეგისტრაცია და ა.შ)</p>
<p>სტუდენტთა კონტინგენტის რაციონალური დაგეგმვის წესის შემუშავება უნივერსიტეტში არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით</p>	<p>სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია და მექანიზმები შემუშავებულია; კონტინგენტის განსაზღვრისათვის სამიზნე ჯგუფები იდენტიფიცირებულია; სამიზნე ნიშნულები ორიენტირებულია; სტუდენტთა კონტინგენტის გამოთვლის ფორმულა შემუშავებულია; გამოკითხვის ფორმები შემუშავებულია; კონტინგენტის დაგეგმვის პერიოდულობა განსაზღვრულია.</p>
<p>სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება</p>	<p>სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ყველა მოდული გამართულია</p>

<p>ხარისხის მართვის სისტემების განვითარება</p>	<p>საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება უსდ-ს ავტორიზაციის მოპოვებულია</p> <p>ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიში წარდგენილია (არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ);</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშები წარდგენილია (არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ);</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულების და პირების რაოდენობრივი მაჩვენებელი;</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული გარე დაინტერესებული მხარეების რაოდენობრივი მაჩვენებელი;</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული უცხოელი სპეციალისტების რაოდენობრივი მაჩვენებელი;</p>
--	---

ამოცანა 2 : ადმინისტრაციული რესურსების განვითარება

<i>ქვეამოცანა</i>	<i>ინდიკატორები</i>
<p>ადმინისტრაციის თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა</p>	<p>შიდა და მოწვეული პერსონალის მიერ ტარდება პერიოდული თემატური ტრენინგები, თანამშრომელთათვის;</p> <p>უწყვეტი განათლების პროგრამების/ტრენინგების/ღონისძიებების რაოდენობრივი მაჩვენებელი;</p> <p>სხვადასხვა ვორქშოფებში მონაწილეობა და ორგანიზება</p>

<p>ადმინისტრაციის მათ შორის სკოლის ადმინისტრაციის ვიზიტები სხვა უნივერსიტეტებში საზღვარგარეთ</p>	<p>გამოცდილების გაზიარების, სიახლეების დანერგვისა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარების მიზნით უნივერსიტეტის წარმომადგენლები პერმანენტულად სტუმრობენ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებს</p> <p>უცხოეთის უნივერსიტეტში ვიზიტების რაოდენობრივი მაჩვენებელი</p>
<p>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემებში არსებული საუკეთესო გამოცდილების გაზიარება</p>	<p>გამოცდილება გაზიარებულია და საუკეთესო პრაქტიკა დამკვიდრებულია</p>

ამოცანა 3 : მატერიალური და ფინანსური რესურსების განვითარება

<i>ქვეამოცანა</i>	<i>ინდიკატორები</i>
<p>საგანმანათლებლო პროგრამების ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა. სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიების და ცენტრების შექმნა</p>	<p>მოწყობილია პროგრამების შესაბამისი ლაბორატორიები</p> <p>კლინიკების მოწყობა</p> <p>ცენტრების მოწყობა</p>
<p>სტუდენტური საცხოვრებლის მშენებლობა</p>	<p>საერთო საცხოვრებლის კონცეფცია შექმნილია მიწის ნაკვეთის მოძიება/შესყიდვა</p> <p>პროექტის გაკეთება-შეთანხმება</p> <p>მშენებლობა-ავეჯით მოწყობა</p>
<p>სპორტული/შემოქმედებითი ინფრასტრუქტურის განვითარება</p>	<p>მოწყობილია დარბაზი ცეკვის, სიმღერის და სხვადასხვა სტუდენტური კლუბების რეპეტიციისათვის.</p> <ul style="list-style-type: none"> - მოძიებულია/შესყიდულია ნაკვეთი სპორტული დარბაზისათვის <p>შეთანხმებულია მშენებლობის პროექტი</p>

<p>საბიბლიოთეკო ფონდების გამდიდრება უახლესი ქართული და უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურით, სამეცნიერო-პერიოდული გამოცემებით, საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით.</p>	<p>ბიბლიოთეკისათვის შეძენილია თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა სკოლების მოთხოვნის მიხედვით.</p> <p>ბიბლიოთეკისათვის შეძენილია თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა სკოლების მოთხოვნის მიხედვით.</p> <p>წვდომა შესაძლებელია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე;</p> <p>საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენების მაჩვენებელი დამზერადია;</p> <p>სამეცნიერო ლიტერატურის, პერიოდული გამოცემების, საერთაშორისო ელექტრონული ბაზების შეძენაზე დახარჯული თანხები;</p>
<p>შიდა და გარე კომუნიკაციის განვითარება.</p>	<p>კომუნიკაციის არხები დივერსიფიცირებულია და ფარავს სამიზნე აუდიტორიას;</p> <p>უნივერსიტეტი მონაწილეობს ყველა ეროვნულ და მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოფენებში უნივერსიტეტის ვებგვერდის და სოციალური მედიის მომხმარებელთა და ვიზიტორთა რაოდენობა მაღალი და მუდმივად მზარდია.</p> <p>უნივერსიტეტის ვებგვერდის, სოციალური ქსელების მომხმარებელთა რაოდენობრივი მაჩვენებელი;</p> <p>უნივერსიტეტის საიმიჯო მულტიმედიური და ბეჭდური მასალები;</p> <p>ეროვნულ და საერთაშორისო გამოფენებსა უნივერსიტეტის მონაწილეობის მაჩვენებელი;</p>
<p>ფინანსური რესურსის განვითარება</p>	<p>უნივერსიტეტის მოზიდული აქვს იაფი საკრედიტო რესურსი სტრატეგიული მიზნების მიღწევის ფინანსური უზრუნველყოფისათვის;</p> <p>უნივერსიტეტს აქვს მოპოვებული გრანტები</p>

მიზანი 2 - განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

ამოცანა 1: კვლევითი მიმართულების განვითარება

<i>ქვეამოცანა</i>	<i>ინდიკატორები</i>
კვლევით პროექტებში პერსონალის და სტუდენტების ჩართულობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა	კვლევით პროექტებში ჩართულობის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი მასალებით; კვლევით პროექტებში ჩართულობის შესახებ ინფორმირებულობა უზრუნველყოფილია საინფორმაციო შეხვედრების, ვებ გვერდის, შეტყობინებების, სოციალური ქსელების გზით; კვლევითი პროექტები დაფინანსებულია; კვლევითი პროექტების გამოცემა (საჭიროების შემთხვევაში) მხარდაჭერილია
პერსონალის (აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო) და სტუდენტების წახალისების მექანიზმების განვითარება	პერსონალის (აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო) და სტუდენტების წახალისების მექანიზმები შემუშავებულია
კვლევითი პროექტების ინიცირება და დაფინანსება, მათ შორის გრანტებითა და სხვა მოზიდული რესურსებით.	კვლევითი პროექტების ინიცირების შესაძლებლობა ღიაა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის (სტუდენტი; პერსონალი, გარე პარტნიორი და ა. შ) კვლევითი პროექტები დაფინანსებულია; გრანტების და სხვა რესურსების მოზიდვა წახალისებულია; სხვადასხვა საგრანტო პროექტების შესახებ

	დაინტერესებულ მხარეები ინფორმირებულია
ღირებულებების მხარდაჭერა- პლაგიატთან ბრძოლა, ეთიკის კომისიის ეფექტიანობის გაზრდა	პლაგიატის კონტროლის მექანიზმები შემუშავებულია პლაგიატის აღმოჩენის ელექტრონული სისტემა დანერგილია ეთიკის კომისია შექმნილია ეთიკის კომისიის მიერ განხილული შემთხვევები იდენტიფიცირებულია
სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლება - მაღალრეიტინგულ ჟურნალებში შრომების გამოქვეყნების ხელშეწყობა	გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობრივი მაჩვენებელი მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში ახალგაზრდა პერსონალის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისათვის მაორიენტირებული ღონისძიებები ჩატარებულია

ამოცანა 2 : საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

<i>ქვეამოცანა</i>	<i>ინდიკატორები</i>
საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების ციკლის სრულყოფა და ინსტრუმენტების დახვეწა;	საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების ციკლი შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების მეთოდოლოგია შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების მეთოდოლოგია ხელმისაწვდომია

	<p>საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების ინსტრუმენტები შემუშავებულია</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების ინსტრუმენტები ხელმისაწვდომია</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების ვადები განსაზღვრულია</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეები ჩართულია კვლევის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია (გარდა პირადი ინფორმაციისა)</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკრედიტაციის მინიჭება</p>	<p>პროგრამებისათვის მინიჭებულია აკრედიტაცია</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამების მორგება შრომის ბაზრის მოთხოვნებზე</p>	<p>დასაქმებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი;</p> <p>კურსდამთავრებულთა (GPA);</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების გათვალისწინებით</p>	<p>აკადემიური/მოწვეული პერსონალის, პროფესიული განვითარების ღონისძიებები ჩატარებულია</p> <p>პროფესიული განვითარების ღონისძიებების მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, რაოდენობრივი მაჩვენებელი;</p> <p>სწავლისა და სწავლების მეთოდებით სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი;</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება უცხოელი</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის საერთაშორისო გამოცდილება გაზიარებულია საერთაშორისო გამოცდილების ძირითადი ასპექტები</p>

სპეციალისტების ჩართულობის გზით	პროგრამაში იმპლიმენტირებულია უცხოელი სპეციალისტების რეზიდენტები შესწავლილია (პროგრამაზე მინიმუმ ერთი რეზიდენტი)- კოლეგიალური შეფასებები გაკეთებულია უცხოელი ექსპერტის/დარგის წარმომადგენლის/პროფესორის მიერ
საერთაშორისო სტანდარტების და ეროვნული რეგულაციების გათვალისწინებით პროგრამების შემუშავების ხელშეწყობა	საერთაშორისო პრაქტიკა გაზიარებულია ეროვნული რეგულაციები დაცულია
სსმს -თვის პროგრამაში შეუფერხებლად ჩართვის შესაძლებლობა	ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია დამტკიცებულია ინდივიდუალური საჭიროებები განსაზღვრულია

ამოცანა 3 : ადამიანურ რესურსების განვითარება

<i>ქვეამოცანა</i>	<i>ინდიკატორები</i>
უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება	ტრენინგები და ღონისძიებები ჩატარებულია აქტივობაში ჩართული პირების რაოდენობრივი მაჩვენებელი
პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის განვითარება;	პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი შემუშავებულია, რომელიც მოიცავს პერსონალის კმაყოფილების კვლევას, თვითშეფასებას, პროცესზე დაკვირვებას; შედეგების ანალიზს და ინფორმირებულობას
უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისთვის პიროვნული განვითარების მიზნით შესაბამისი ტრენინგების/ღონისძიებების ორგანიზება.	ტრენინგები და ღონისძიებები ჩატარებულია აქტივობაში ჩართული პირების რაოდენობა

	განსაზღვრულია
ამოცანა 4 : სადოქტორო პროგრამის შემუშავება	
<i>ქვეამოცანა</i>	<i>ინდიკატორები</i>
მაღალი ხარისხის სადოქტორო პროგრამის შემუშავება საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით	სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია ადგილობრივი და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბებულია: საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და არქიტექტონიკა; სასწავლო კურსის პროგრამები;
უნივერსიტეტებთან/ორგანიზაციებთან პარტნიორობის გაძლიერება სადოქტორო პროგრამის ჯეროვნად განხორციელების მიზნით	სადოქტორო პროგრამის გარე მხარდამჭერები იდენტიფიცირებულია; პარტნიორობის ძირითადი ნიშნულები ჩამოყალიბებულია

მიზანი 3 - ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა

ამოცანა 1: ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარება	
ქვეამოცანა	ინდიკატორები
ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ინტერნაციონალიზაცია.	უცხოეთის აღიარებული სააკრედიტაციო სააგენტოებთან თანამშრომლობა შემდგარია უცხოეთის აღიარებული სააკრედიტაციო სააგენტოების მიერ აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
პარტნიორული ურთიერთობების დამყარება უცხოეთის უსდ-ებთან და უკვე არსებული ურთიერთობების გაძლიერება.	ხელშეკრულებები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი კონფერენციები/სამუშაო შეხვედრები/სხვა აქტივობები ჩატარებულია
სტუდენტების გაცვლითი პროგრამების განხორციელება;	გაცვლით პროგრამებზე სტუდენტები რეგისტრირებულია გაცვლით პროგრამებში ჩართული სტუდენტების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
ერთობლივი პროგრამების შემუშავება	უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით განხორციელებულია ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები;
აკადემიური/მოწვეული პერსონალის გაცვლით პროგრამაში ჩართულობა/საერთაშორისო მობილობა	საერთაშორისო მობილობაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა მაღალია
ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	ერთობლივი კვლევითი პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი; უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებულია თანამშრომლობის

	<p>მემორანდუმები/ხელშეკრულებები სამეცნიერო კვლევებისა მიმართულებით;</p> <p>გაცვლით პროგრამებში მონაწილე სამეცნიერო პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებელი;</p> <p>საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები (კონფერენციები, სემინარები, ვორკშოპები და სხვ.);</p> <p>საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების რაოდენობრივი მაჩვენებელი; (კონფერენციები, სემინარები, ვორკშოპები და სხვ.);</p>
<p>უცხოელი აკადემიური პერსონალის მოზიდვა</p>	<p>უცხოელი პერსონალის მოზიდვის სტრატეგია შემუშავებულია</p> <p>აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა</p>
<p>უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება.</p>	<p>საერთაშორისო სასწავლო/სამეცნიერო ღონისძიებები ჩატარებულია (კონფერენციები, სემინარები, ვორკშოპები და სხვ.);</p> <p>საერთაშორისო სასწავლო/სამეცნიერო ღონისძიებები (კონფერენციები, სემინარები, ვორკშოპები და სხვ.);</p>
<p>უცხო ენაზე სასწავლო კურსების მომზადება (ქართულენოვანი პროგრამებისთვის)</p>	<p>სასწავლო კურსები მომზადებულია</p>

მიზანი 4 - სტუდენტთა ჩართულობის და მხარდაჭერის უზრუნველყოფა

ამოცანა 1: სტუდენტზე ორიენტირებული აქტივობების და სერვისების შეთავაზება

<i>ქვეამოცანა</i>	<i>ინდიკატორები</i>
კარიერული განვითარების და უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა	კარიერული განვითარების ცენტრის მომსახურებით მოსარგებლე სტუდენტების რაოდენობა მაღალია; კარიერული ცენტრის დახმარებით დასაქმებული სტუდენტების რაოდენობრივი მაჩვენებელი; სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
სტუდენტური სამეცნიერო/კვლევითი პროექტების მხარდაჭერა	სტუდენტური კონფერენციების რაოდენობრივი მაჩვენებელი; სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილე ბაკალავრების რაოდენობრივი მაჩვენებელი; სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილე მაგისტრანტების რაოდენობრივი მაჩვენებელი; სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართული ბაკალავრების რაოდენობრივი მაჩვენებელი; სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართული მაგისტრანტების რაოდენობრივი მაჩვენებელი; სტუდენტურ სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე დახარჯული თანხების მოცულობა; ბაკალავრების მიერ გამოცემული სამეცნიერო სტატიების რაოდენობრივი მაჩვენებელი; (არსებობის შემთხვევაში); მაგისტრანტების მიერ გამოცემული სამეცნიერო სტატიების რაოდენობრივი მაჩვენებელი; (არსებობის შემთხვევაში);

	დაფინანსებული სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი; სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის ცენტრალიზებული (ერთი ფანჯრის პრინციპი) სერვისცენტრის შექმნა.	შექმნილია ცალკე სამსახური, რომელიც აერთიანებს სასწავლო, აკადემიური, ფინანსური, საპრეტენზიო/საჩივრების, განცხადებების სერვისების უზრუნველყოფას.
საუნივერსიტეტო აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა	პროგრამის შემუშავებაში/განვითარებაში ჩართული სტუდენტების რაოდენობრივი მაჩვენებელი უნივერსიტეტის მართვაში სტუდენტების ჩართვის რაოდენობრივი მაჩვენებლები სკოლის საბჭოში სტუდენტების ჩართვის რაოდენობრივი მაჩვენებლები
სტუდენტური საკონსულტაციო სერვისების გაუმჯობესება და დასაქმების შესაძლებლობების გაძლიერება;	სტუდენტებთან საკონსულტაციო შეხვედრების მტკიცებულებები ვაკანსიების სტუდენტებისათვის მიწოდების უზრუნველყოფა
კურიკულუმის გარეშე აქტივობების ხელშეწყობა	სპორტული და კულტურული ღონისძიებების რაოდენობრივი მაჩვენებელი; სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯული თანხები; სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობრივი მაჩვენებელი; საჯარო ლექციების ორგანიზება
სოციალური პროექტების განხორციელება	სოციალური სტიპენდიები სწავლის შეღავათები სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
სპორტული საქმიანობის მხარდაჭერა	ახალი სპორტული სახეობების განვითარება (კალათბურთი, ფრენბურთი)

	ფუძვალის სტუდენტურ ლიგაში უმაღლეს ლიგაში გადასვლა
სტუდენტთა სტაჟირების პროგრამის განვითარება	სტაჟიორი სტუდენტების რაოდენობრივი მაჩვენებელი სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერა	სტუდენტთა ინიცირების ხელშეწყობის რეგულაციები შემუშავებულია სტუდენტების ინიციატივების და განხორციელებული აქტივობების რაოდენობრივი მაჩვენებელი სტუდენტებისათვის პერმანენტულად ტარდება საჯარო ლექციების მათთვის აქტუალურ თემებზე